ანგარიში

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა.

საანგარიშო წლის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

2017 წელი გამოირჩეოდა შემდეგი წარმატებებისა და მიღწევების ფონზე:

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების აღიარება, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. *აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში (PNAS) ნოემბერში გამოქვეყნდა სტატია („საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“) საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ღვინოს 8000 წლის წინ აყენებდნენ.* ***საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში (Cité des Civilisations Du Vin) გამოფენა „საქართველო - ღვინის აკვანი“ თითქმის ოთხი თვის მანძილზე მიმდინარეობდა.*** *გამოფენა 31 ივლისს გაიხსნა და 14 სექტემბერს ცენტრის შესასვლელში მუდმივ ექსპოზიციად ქართული ქვევრი დაიდგა „იუნესკოს“ მიერ 2013 წელს ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდის მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეყვანასთან დაკავშირებით.*

ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 200-ზე მეტ ღონისძიებაზე *- კერძოდ, მსოფლიოს*

სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ გამოფენა, დეგუსტაცია, პრეზენტაცია, სემინარსა და შეხვედრაზე.

2017 წელს დაფიქსირდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რეკორდული რაოდენობის ღვინის ექსპორტი *- სულ მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 76,7 მლნ ბოთლი ღვინო.*

წარმატებული რთველი. *გაზრდილი ექსპორტის მოცულობა და დარგში არსებული პოზიტიური მაჩვენებლები, იძლეოდა შესაძლებლობას, რომ კახეთის რეგიონში 2017 წლის რთველის პერიოდში ყურძენზე სუბსიდია აღარ გაცემულიყო. ყურძნის ფასის დადგენა მოხდა ხარისხისა და წარმომავლობის მიხედვით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.*

ცვლილებები შევიდა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს მოქმედ კანონში, რაც მნიშვნელოვანია საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს. ამ მიზნით შემუშავებულია მარკეტინგული სტრატეგიული გეგმა, რომელიც შეთანხმებულია მარკეტინგის საბჭოსთან, სადაც გაერთიანებულია მეღვინოების დარგის კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების წარმომადგენლები.

2017 წელს ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 200-ზე მეტ ღონისძიებაზე შემდეგ ქვეყნებში: აშშ, ჩინეთი/ჰონგ-კონგი, სინგაპური, საფრანგეთი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბალტიისპირეთის ქვეყნები, იაპონია, პოლონეთი, ბელგია, შვედეთი და სხვა.

აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიებები:

30 იანვარიდან 4 თებერვლამდე ქვევრის ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია საფრანგეთის ქალაქებში ტულუზაში, ლიონში, ანჟესა და სომურში გაიმართა. ქვევრის ღვინო ტულუზაში და ლიონში გამართულ სპეციალიზირებულ დეგუსტაციებზე იყო წარდგენილი, ხოლო ანჟესა (Les Penitentes) და სომურში (La Dive Bouteille) ტრადიციულ გამოფენებზე, სადაც ქართული ღვინის კომპანიები უკვე მეექვსედ მონაწილეობდნენ.

18-19 თებერვალს, აშშ-ს ქალაქ ბოსტონში ღვინისა და სპირტიანი სასმელების მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაში „Boston Wine Expo", ქართული ღვინის მწარმოებელი 18 კომპანია მონაწილეობდა. „Boston Wine Expo" წელს 26-ედ ჩატარდა და მას ტრადიციულად ათეულ ათასობით სტუმარი - ღვინის იმპორტიორი, დისტრიბუტორი, სომელიე და მედიის წარმომადგენელი დაესწრო.

21 თებერვალს ღვინის ეროვნული სააგენტოსა და მარკეტინგული კომპანია „Marqenergie"-ს ერთობლივი ორგანიზებით, ნიუ-იორკში „ქართული ღვინის დღე" მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო 20-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 40 დასახელების როგორც ქვევრის, ისე კლასიკური მეთოდით დაყენებული ღვინოები.

15 თებერვალს ღვინის ეროვნული სააგენტოს, შვედეთი-საქართველოს სავაჭრო პალატის, შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოსა და ქართული ღვინის კომპანიების მხარდაჭერით სტოკჰოლმში, ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიება ემსახურებოდა ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას, შვედეთის ღვინის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციას, ადგილობრივ მომხმარებელში და პროფესიონალებში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას.

7-10 მარტს ქართული ღვინის სემინარი-პრეზენტაცია იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე კვების პროდუქტებისა და სასმელების 42-ე საერთაშორისო გამოფენის ,,FOODEX JAPAN 2017"-ის ფარგლებში გაიმართა.

12-13 მარტს, დიდ ბრიტანეთში დედაქალაქ ლონდონში ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენა ,,RAW London" (The Artisan Wine Fair London) გაიმართა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქვევრის ღვინის მწარმოებელი 6 კომპანია მონაწილეობდა.

20 მარტს, მონაკოს სომელიეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, დომინიკ მილარდის ინიციატივითა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის დეგუსტაცია მონაკოში გაიმართა. დეგუსტაციას 85 სომელიე, მეღვინე, ჟურნალისტი და მეწარმე დაესწრო იტალიიდან და საფრანგეთიდან.

19-21 მარტს, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა ProWein-2017 ჩატარდა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაცია „ქართული ღვინო"-ს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 23 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის ორი დეგუსტაცია გაიმართა ევროპის წამყვანი მეღვინეობის ჟურნალ „ვინუმის" სტენდზე, რომელსაც გამოცემის მთავარი რედაქტორი რუდოლფ კნოლი უძღვებოდა.

22 მარტს, ამსტერდამში ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,საფერავი ვაინ ეიჯენსის" (Saperavi Wine Agency) ორგანიზებით ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა.

23-25 მარტს, ჩინეთში, სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა - The 96th China Food & Drinks Fair გაიმართა, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ქართული ღვინის მწარმოებელი 27 კომპანია მონაწილეობდა.

12-14 აპრილს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში საერთაშორისო გამოფენა ,,Wine and Gourmet Japan 2017" გაიმართა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით და იაპონიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, 14 ქართული ღვინის კომპანია იყო

წარმოდგენილი. გამოფენის ფარგლებში სპეციალური ღონისძიება, სემინარი-დეგუსტაცია „საქართველო - 8 ათასი რთველი“ გაიმართა.

5-6 მაისს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ბალტიისპირეთის ქვეყნების ყველაზე მასშტაბური ღვინის გამოფენა „VYNO DIENOS“ჩატარდა, ქართული ღვინის მწარმოებელი 8 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში სპეციალური დეგუსტაცია „საქართველო - ღვინის სამშობლო“ გაიმართა.

13 მაისს, „ახალი ღვინის ფესტივალი“ მთაწმინდის პარკში გაიმართა. ღონისძიება საქართველოს „ღვინის კლუბის“ ორგანიზებით, ღვინის ეროვნული სააგენტოს, თბილისის მერიისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მცირე-ოჯახური და საშუალო მარნები, ასევე მსხვილი მწარმოებლები და კომპანიები, რომლებმაც სტუმრებს 2016 წლის მოსავლის ღვინოები წარუდგენეს. ფესტივალზე საკუთარი პროდუქცია 110-ზე მეტმა მონაწილემ წარმოადგინა.

22-24 მაისს ლონდონის საერთაშორისო გამოფენა „London Wine Fair 2017” საგამოფენო ცენტრ „Kensington Olympia“-ში გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით „London Wine Fair 2017”-ში 17 ქართული კომპანია მონაწილეობდა.

9-11 ივნისს, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა „WinExpo Georgia 2017“ გაიმართა. WinExpo Georgia 2017-ში 97 კომპანიამ სხვადასხვა სახის 170-ზე მეტი სახის ღვინო და ალკოჰოლური სასმელი წარმოადგინეს. გამოფენაში 11 ქვეყანა მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში, 9-10 ივნისს ღვინის მე-9 საერთაშორისო კონკურსი - 9th International Wine Award 2017- გაიმართა. კონკურსზე როგორც მსხვილი კომპანიების, ისე მცირე და საოჯახო მარნების, ჯამში 43 კომპანიის, 164 სხვადასხვა სახის ღვინო იყო წარდგენილი. 10 ივნისს, საზეიმო ცერემონიაზე 6 კატეგორიაში გამარჯვებული ღვინოები გამოავლინეს და ოქროს (26 მედალი), ვერცხლის (36), ბრინჯაოს (84) მედლები და საერთაშორისო დიპლომები გადასცეს.

18-21 ივნისს ღვინის საერთაშორისო გამოფენა Vinexpo Bordeaux 2017 გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2017 წელს გამოფენაზე საკუთარი პროდუქცია წარმოადგინა ქართული ღვინის მწარმოებელმა 24-მა კომპანიამ. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის დეგუსტაცია „საქართველო - ღვინის სამშობლო“ გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი და სადეგუსატაციო კომისიის თავმჯდომარე, OIV-ს კომისიის ვიცე-პრეზიდენტი ანა გოდაბრელიძე უძღვებოდნენ.

3 ივლისს ქალაქ კრაკოვში, პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ, ისტორიულ ღვინის ქარხანაში “Winnica Srebrna Góra“-ში ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაცია “Georgian wines for the summer“ გაიმართა. ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია ,,Vinisfera“-ს ხელმძღვანელი მარიუშ კაპჩინსკი უძღვებოდა.

7 აგვისტოს ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი სომელიეები, ჟურნალისტები და ღვინის მწერლები დაესწრნენ. ღვინის მოხმარების საერთაშორისო ტენდენციებსა და სტატისტიკაზე დაყრდნობით, ჰოლანდიის ბაზარი ქართული ღვინის ექსპორტისთვის საკმაოდ პერსპექტიულია.

2-3 სექტემბერს ქვევრის ღვინის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემიაში ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს ორგანიზებით და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა. სიმპოზიუმის ფარგლებში იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემიაში პირველი „ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი“ ჩატარდა. კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება იყალთოს სამონასტრო კომპლექსში გაიმართა. კონკურსზე წარმოდგენილი 150 ღვინის ნიმუშიდან 22-მა ოქროს, 20-მა ვერცხლის და 29-მ ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა (http://georgianwine.gov.ge/Ge/News/487).

27 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე „ქართული ღვინის ფესტივალი“ სინგაპურში და ჩინეთის ქალაქებში - შანხაისა და ჰონგ-კონგში გაიმართა. ფესტივალის

ორგანიზატორი ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Meiburg Wine Media“-ს მმართველი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი იყო. „ქართული ღვინის ფესტივალს“ ადგილობრივი ღვინის იმპორტიორები, მაგისტრები, მედიის, რესტორნებისა და სასტუმროების ქსელების წარმომადგენლები დაესწრნენ.

31 ივლისს საფრანგეთის ქალაქ ბორდოს ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში გამოფენა - „საქართველო - მეღვინეობის აკვანი" გაიხსნა. საქართველო არის პირველი მიწვეული ქვეყანა, რომელმაც მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა და ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის საპატიო მასპინძელი იყო. გამოფენა 4 ნოემბერს დასრულდა. 14 სექტემბერს ქართული ქვევრი ცენტრის მუდმივი ექსპოზიციის ნაწილი გახდა - დიდი ზომის ქვევრის ცენტრის შესასვლელთან დაიდგა. ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო. გამოფენის გაცნობის შესაძლებლობა 60 ათასზე მეტ ვიზიტორს მიეცა, მისი მსვლელობის დროს არაერთი ღონისძიება - დეგუსტაცია, სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

30 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე საქართველოში „ქართული ღვინის კვირეული“ გაიმართა. კვირეული ქალაქ მარნეულში “ქართული ღვინის ფესტივალით“ გაიხსნა. გურჯაანში, ახტალის პარკში პირველად გაიმართა "გურჯაანის ღვინის ფესტივალი", ხოლო ქალაქ თელავში, ღვინისა ფესტივალი „თელავინო“ მეოთხედ აღინიშნა. თბილისობის ფარგლებში, რიყის პარკში წარმოდგენილი იყო 15-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია. კვირეულის ფარგლებში საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული „ქართული ღვინის მე-4 ეროვნული კონკურსი“ ჩატარდა. აღსანიშნავია ასევე თბილისის N1 ღვინის ქარხანაში გამართული ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე 2017“.

ნოემბრის პირველ ნახევარში ქართული ღვინო ამერიკის შეერთებულ შტატებში 5 ღონისძიებაზე იყო წარდგენილი: ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენებზე ,,RAW NY” (5-6 ნოემბერი) და ,,RAW LA”, (11-12 ნოემბერი) ასევე ღვინის მსხვილი იმპორტიორების,

დისტრიბუტორებისა და მედიისთვის გამართულ სპეციალიზირებულ დეგუსტაცია-პრეზენტაციებზე. ქართული ღვინის დეგუსტაციებს ცნობილი ამერიკელი ღვინის მწერალი და პროფესიონალი ელის ფეირინგი უძღვებოდა. აქვე, ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფის, მოგზაურისა და ღვინის მწერლის კარლა კაპალბოს წიგნის „Tasting Georgia“-ს პრეზენტაციაც გაიმართა.

15-17 ნოემბერს, ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანია პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენა „EnoExpo 2017”-ზე იყო წარმოდგენილი.

14-16 ნოემბერს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 30 ქართული ღვინის კომპანია ჩინეთის ქალაქ შანხაიში გამართულ მასშტაბურ გამოფენაზე „Prowein Shanghai 2017“-ზე იყო წარმოდგენილი. გამოფენის ფარგლებში ჩატარდა ქართული ღვინის სპეციალიზირებული დეგუსტაცია-სემინარები, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი უძღვებოდა.

24-25 ნოემბერს, ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ რეისვეიკში (Rijswijk) გამართულ ყოველწლიურ ღონისძიებაზე ,,WineWeekend’’ სპეციალური სტენდი ,,Taste of Georgia’’ მოეწყო, სადაც ქართული ღვინოები იყო წარმოდგენილი. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ორი პრეზენტაცია-სემინარი - ,,ქარვისფერი ღვინოები საქართველოდან’’, რომელსაც ღვინის პროფესიონალები დაესწრნენ.

1 დეკემბერს ტოკიოში და 3 დეკემბერს ოსაკაში ქართული ღვინის მასშტაბური პრეზენტაცია-დეგუსტაციები გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში უძღვებოდა.

10-11 დეკემბერს ქართული ღვინის დეგუსტაცია და პრეზენტაცია ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში „ქართული კულტურის დღეების“ ფარგლებში გაიმართა. პრეზენტაციას - „საქართველო - ღვინის აკვანი“ ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გიორგი სიხარულიძე უძღვებოდა.

2017 წელს საქართველოს ათეულობით ღვინის პროფესიონალი ეწვია და ადგილზე დააგემოვნა ქართული ღვინო, გაეცნო ქართული ღვინის კულტურასა და ტრადიციებს:

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ღვინის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ქართული ღვინის კულტურასა და თანამედროვე მეღვინეობას გაეცნენ. 18-კაციანი ჯგუფის წევრები გაცნობითი ტურის ფარგლებში აპრილში ეწვიენ კახეთს, სადაც მოინახულეს ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები, გაეცნენ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიას, დააგემოვნეს სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინოები.

იაპონელი ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში, ქართული ღვინის ბაზრის კვლევის მიზნით, საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით მაისის დასაწყისში ეწვია. იაპონელ ღვინის პროფესიონალს თან ახლდა იაპონიის სომელიეთა ასოციაციის ჟურნალის (JSA) წარმომადგენელი, ღვინის მწერალი აკიჰიკო იამამოტო, რომელიც 2018 წელს JSA-ში გამოსაქვეყნებლად ქართულ ღვინოზე ვრცელ სტატიას ამზადებს.

ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ღვინის იმპორტიორები, სომელიეები და ღვინის მწერლები შედიოდნენ, საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით მაისში სტუმრობდა. ჯგუფს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, ამერიკული მარკეტინგული კომპანია ,,Marq Energie”-ის მმართველი ჯული პეტერსონი ხელმძღვანელობდა. ტურის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ქართლში, იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში და კახეთში, სადაც გაეცნენ ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებს.

იაპონელი ღვინის იმპორტიორების ჯგუფი, ღვინის მაგისტრის კენიჩი ოჰაშის ხელმძღვანელობით, საქართველოს ივნისშიც ეწვია. ჯგუფის შემადგენლობაში იყო ასევე ცნობილი იაპონელი სომელიე მოტოჰირო ოკოში. ვიზიტის მიზანი ქართული

ღვინის ადგილზე გაცნობა და შემდგომში იაპონელი მომხმარებლისთვის შეთავაზება იყო. სტუმრები ეწვიენ 20-მდე ღვინის კომპანიას ქართლსა და კახეთში, სადაც დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ღვინოები.

ქართული ღვინის ჰოლანდიაში პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, საქართველოს ჰოლანდიელი იმპორტიორები და ჟურნალისტები სტუმრობდნენ, ჰოლანდიური კომპანია „Saperavi Wine Agency"-ის დირექტორის ბერნარდ ნაუტას ხელმძღვანელობით. ჰოლანდიელმა სტუმრებმა ივნისის მეორე ნახევარში გამართული ტურის ფარგლებში ქართული ღვინის კომპანიები ქართლსა და კახეთში მოინახულეს და ადგილზე დააგემოვნეს ქართული კომპანიების პროდუქცია.

ივლისში ამერიკელი სომელიეების ჯგუფი საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია, რომლის ფარგლებშიც ღვინის პროფესიონალებმა ღვინის საწარმოები სამეგრელოში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში მოინახულეს. ჯგუფს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანია ,,Marq Energie"-ის მმართველი ჯული პეტერსონი (Julie Peterson) ხელმძღვანელობდა.

27 აგვისტოს ამერიკელი სომელიეებისა და იმპორტიორების ჯგუფი საქართველოს ხუთდღიანი ვიზიტით ეწვია, რომლის ფარგლებშიც სტუმრებმა ქართული ღვინის მწარმოებელი 18 კომპანია მოინახულეს. ღვინის პროფესიონალების შვიდკაციან ჯგუფს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული კომპანია ,,TastingWorks"-ის მმართველი, ცნობილი ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი ხელმძღვანელობდა.

სექტემბრის დასაწყისში ღვინის იმპორტიორები და ჟურნალისტები ჩინეთიდან ერთკვირიანი ვიზიტით საქართველოს ეწვიენ, რომლის ფარგლებშიც სტუმრებმა ღვინის მარნები და კომპანიები ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში მოინახულეს. 13-კაციან ჯგუფს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტარქტორი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი ხელმძღვანელობდა.

დიდი ბრიტანელი ღვინის მაგისტრი სარა ებოტი, ქართული ღვინით დაინტერესებულ ჟურნალისტებთან ერთად, საქართველოს სექტემბერში, რთველის პერიოდში სტუმრობდა. ღვინის ტურის ფარგლებში ბრიტანელი პროფესიონალები ღვინის მარნებსა და კომპანიებს კახეთში გაეცნენ. კახეთში გამგზავრებამდე, სარა ებოტი ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს თბილისში შეხვდა. მან შეხვედრის მონაწილეებს დიდ ბრიტანეთში ღვინის საფასო პოლიტიკა, ღვინის შეფუთვასა და ხარისხთან დაკავშირებული საკითხები გააცნო, რაც ქართული ღვინის ამ ბაზარზე დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ამერიკელი ღვინის პროფესიონალები ერთკვირიანი ვიზიტით საქართველოს სექტემბერში ეწვიენ. სტუმრებმა ღვინის კომპანიები და მარნები სამეგრელოში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში მოინახულეს, სადაც გაეცნენ ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებს, დააგემოვნეს ევროპული და ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინოები. ღვინის პროფესიონალების ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც სომელიეები, ღვინის მწერლები და იმპორტიორები შედიოდნენ, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანია „მარქ ენერჯის“ (Marq Energie) მმართველი ჯული პეტერსონი (Julie Peterson) ხელმძღვანელობდა.

სექტემბრის ბოლოს საქართველოს ჰოლანდიელი სომელიების ჯგუფი სტუმრობდა, რომლის წევრების შეფასებით, ქართულ ღვინოს ჰოლანდიის ბაზარზე ექსპორტის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ჰოლანდიელმა სტუმრებმა ღვინის კომპანიები თბილისში, ქვემო ქართლსა და კახეთში მოინახულეს.

2017 წელს ქართული ღვინო არაერთი ჯილდოს მფლობელი გახდა. მათ შორის, აღსანიშნავია წარმატება ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამართულ ღონისძიებებზე:

12 დასახელების ქართულმა ღვინომ იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ საერთაშორისო კონკურსში „საკურა“ (The 4rd “Sakura” Japan Women’s Wine Awards

2017) უმაღლესი ჯილდოები - ერთი „ორმაგი ოქრო“, ექვსი - ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. „საკურას“ საერთაშორისო კონკურსი მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც 2017 წელს მეოთხედ ჩატარდა. კონკურსის ჟიური დაკომპლექტებულია იაპონიაში ღვინის სფეროში მოღვაწე ქალბატონებით - სომელიეებით, ღვინის მწერლებითა და ჟურნალისტებით. სულ კონკურსში 37 ქვეყნის 4212 ღვინო იყო წარდგენილი.

„ვაზიანი კომპანის“ ღვინომ - „საფერავი 2015“ იაპონიაში, „საკურას“ კონკურსის უმაღლესი ჯილდო - “ბრილიანტი” (Diamond Trophy) მოიპოვა. აღნიშნული ღვინო 2017 წლის თებერვლის დასაწყისში „საკურას“ კონკურსში „ორმაგი ოქროს“ მფლობელი გახდა და კონკურსის წესების თანახმად, წარდგენილი იყო გამოფენაზე „Foodex Japan 2017“ უმაღლესი ჯილდოს - “ბრილიანტის” (Diamond Trophy) მოსაპოვებლად.

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, გამოფენა ProWein 2017-ის ფარგლებში კომპანია „ბესინის“ ღვინოს “Besini Premium”, წითელი მშრალი, 2013 გადაეცა საერთაშორისო კონკურს „მუნდუს ვინი“-ს ოქროს პრიზი და ჯილდო “Best of show Georgia”. ასევე კომპანია „მეღვინეობა ხარებას“ ღვინოს - „საფერავი“, კლასიკური წითელი მშრალი 2013, გადაეცა ოქროს პრიზი, ხოლო „ხარება“2012, წითელი მშრალი - ვერცხლის პრიზი.

საფრანგეთის ქალაქ Vinexpo Bordeaux-ის ფარგლებში გამართულ კონკურსზე Citadelles Du Vin ოთხმა ქართულმა ღვინომ მიიღო სხვადასხვა დასახელების ჯილდო - უმაღლესი ჯილდო ტროფი ღვინო „ხარება 2012“ (კომპანია „მეღვინეობა ხარებას“), ოქროს მედალი - მაყაშვილის ღვინის მარანის „კაბერნე 2015“ (კომპანია “ვაზიანი კომპანი”), ვერცხლის მედალი - „ქინძმარაული 2013“ (კომპანია „კახური ღვინის მარანი”) და „ჭაჭა“ (კომპანია „შუმი”).

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში 25 ივნისს გამართულ ღვინის საერთაშორისო კონკურსში „GALICJA VITIS 2017“, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია „მეღვინეობა შილდა“-ს ღვინოებმა - „ქისი 2015“ (თეთრი მშრალი) და „მუკუზანი 2015“ (წითელი

მშრალი) ოქროს მედლები დაიმსახურა. აღნიშნული კონკურსი ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ეგიდით იმართება.

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში „EnoExpo 2017”-ს ფარგლებში გამართულ კონკურსში ქართული კომპანია „გიუაანის“ ღვინომ „მწვანე ქვევრი 2014“ ოქროს მედალი დაიმსახურა. სულ კონკურსის ფარგლებში 5 ოქროს მედალი გაიცა და ერთ-ერთი სწორედ ქართულ ღვინოს ერგო. ამავე კომპანიის ღვინოებმა - „მწვანე ქვევრი 2016“ და „ქისი ქვევრი 2016“ ბრინჯაოს მედლები მიიღეს. კომპანიის „თელავის ღვინის მარანი“ ღვინომ „სატრაპეზო 10 ქვევრი 2014“ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

„ქარვისფერი ღვინო“ OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შევა

2017 წელს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OIV) განხილვაში მიიღო ქართული მხარის წინადადება, რომ ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინო, ანუ ჭაჭაზე დადუღებული ღვინო სახელწოდებით „ქარვისფერი ღვინო“, OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შევიდეს. ამჟამად OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში არის სულ 7 ღვინო - შუშხუნა, ცქრიალა, შემაგრებული, ლიქიორული, ბუნებრივად ტკბილი ღვინოები, „აისვაინი“ და აპკის ქვეშ დავარგებული (ხერესის ტიპი). შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, ქართული „ქარვისფერი ღვინო“ OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში მერვე იქნება.

საკანონმდებლო საქმიანობა

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვით მოქმედ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კანონში შესული ცვლილებები მნიშვნელოვანია საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის განვითარებისთვის. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონი 1998 წელს არის მიღებული და

მასში მნიშვნელოვანი ცვლილება 2002 წლის შემდეგ არ შესულა. კანონს დაემატა ტერმინები, დაიხვეწა შინაარსობრივად და ტექნიკურად დამუშავდა ის განმარტებები, რომლებიც კანონის ცალკეული დებულებების ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. მოქმედ კანონში განხორციელებული ცვლილებები დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას შეუწყობს ხელს.

რთველი - 2017

მეღვინეობის დარგის არსებული მდგომარეობა - ღვინის ექსპორტის ზრდა, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, გაფართოებული ღვინის საწარმოები, იაფი აგროკრედიტებისა და აგროდაზღვევის განვითარებული სისტემა, იძლეოდა შესაძლებლობას, რომ კახეთის რეგიონში 2017 წლის რთველზე ხარისხიან, კონდიცირებულ ყურძენზე სუბსიდი აღარ გაცემულიყო.

2017 წლის რთველის შედეგად, კახეთის რეგიონში 125 ათასამდე ტონა ყურძენი გადამუშავდა. მევენახეების შემოსავლებმა 144 მლნ ლარს მიაღწია. მთლიანი გადამუშავებული მოსავლიდან 63,4 ათასი ტონა რქაწითელი, 54 ათასი ტონა საფერავი, 3,6 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. ყურძენი კომპანიებს 15 ათასმა მევენახემ ჩააბარა.

რთველის აქტიური ფაზის დროს, დღე-ღამურად გადამუშავდებოდა 5 ათას ტონამდე ყურძენი. ამ პერიოდში ყოველდღიურად გადამუშავების პროცესში ჩართული იყო 100-მდე ღვინის საწარმო, რის შედეგადაც, წელს არ დაფიქსირებულა ქარხნებთან რიგები. რთველი ჩატარდა ორგანიზებულად და წარმატებით, არც ერთ მევენახეს არ შექმნია ყურძნის დაბინავების პრობლემა. მევენახეები და მეწარმეები ყურძნის ფასზე შეთანხმდნენ დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში გადამუშავებულია 769 ტონა ყურძენი (ალექსანდროული და მუჯურეთული), მოსახლეობის შემოსავლებმა 5,4 მლნ ლარს გადააჭარბა.

კომპანიებს ყურძენი რაჭაში 1000-მდე მევენახემ ჩააბარა. ჯიშობრივი სიზუსტის დაცვის მიზნით, რთველის პროცესში ჩართულები იყვნენ ამპელოგრაფები.

ვენახების კადასტრის პროგრამა

2017 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ გააგრძელა ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება. პროგრამა მოიცავს: ვენახების ფართობების აღრიცხვას, ორთოფოტოების დამზადებას, ვენახებისა და მევენახეთა რეგისტრაციას და პასპორტიზაციას, სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტებას, მევენახეთა და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის სუბიექტების საანკეტო მონაცემების შეგროვებას და ა.შ.

სატენდერო კონკურსის მიერ გამოვლენილმა კომპანია „რუკა მაპინგმა“ შეასრულა ახმეტის მუნიციპალიტეტში საკადასტრო სამუშაოები. ახმეტის მუნიციპალიტეტში აღრიცხული იქნა 13 დასახლებული პუნტის მფლობელობაში არსებული ვენახები, სადაც დაფიქსირდა 5992 ნაკვეთი, ხოლო ვენახების ფართობმა შეადგინა 1817.2 ჰექტარი.

საქართველოში ანალოგიური სისტემა აქამდე არ არსებობდა. კადასტრის სისტემა ეფექტურად მუშაობს ევროკავშირის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობაა განვითარებული.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების აღიარება, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. 13 ნოემბერს აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში (PNAS) გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია „Early Neolithic Wine of Georgia in the South Caucasus“ („საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“) საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ღვინოს 8000 წლის წინ აყენებდნენ. კვლევა

მიმდინარეობდა პროექტის „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“ ფარგლებში, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტო 2014 წლიდან ახორციელებს. აღნიშნული მეცნიერული დასკვნა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა - სტატები დაიბეჭდა ყველა წამყვან საინფორმაციო თუ მეცნიერულ გამოცემაში (The New York Times, BBC, CNN, The Guardian, National Geographic, Washingtonpost და ა.შ). უძველესი ღვინის აღმოჩენის ფაქტი შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში.

ხარისხის კონტროლი

საექსპორტო ღვინის ხარისხის კონტროლის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიაში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით 110 დეგუსტაცია ჩატარდა. ალკოჰოლური სასმელების კომპანიებში განხორციელდა როგორც საექსპორტო ადგილწარმოშობის, ასევე სუფრის ღვინოებისა და ღვინის ბრენდის 88 საინსპექციო კონტროლი.

სერტიფიცირება

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 11 253 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია: VI-1 ფორმის სერტიფიკატი / ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 6 727 ცალი; შესაბამისობის სერტიფიკატი 4526 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ გაცემულია სულ 3546 სერტიფიკატი.

სააგენტოში 2017 წელს მიმდინარე ყველა ღონისძიება აქტიურად შუქდებოდა ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში (http://georgianwine.gov.ge/, https://www.facebook.com/Wines.of.Georgia/, https://www.facebook.com/LEPL-National-Wine-Agency-of-Georgia, https://twitter.com/Georgian_wine, https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ)